

შპს გეოფუდი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
ბოლო გვერდი	11

შპს „გეოფუდი“

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-20	01-იან-20
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	242,388	358,747
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	444,603	418,371
გადახდილი ავანსები		-	24,084
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	914,425	749,503
წინასწარ გადახდილი გადასახადები		90,814	63,281
სულ მიმდინარე აქტივები		1,692,229	1,613,986
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	7,180	7,366
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,180	7,366
სულ აქტივები		1,699,409	1,621,352
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	449,747	381,247
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	235,643	319,962
სულ მიმდინარე ვალდებულებები		685,390	701,209
სულ ვალდებულებები		685,390	701,209
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		1,012,019	918,143
სულ საკუთარი კაპიტალი		1,014,019	920,143
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,699,409	1,621,352

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „გეოფუდი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	9	3,479,488	4,118,771
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(2,944,679)	(3,420,665)
საერთო მოგება		534,809	698,106
ადმინისტრაციული ხარჯი	11	(253,260)	(247,771)
საოპერაციო ხარჯები		-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(38,768)	(5,349)
სხვა შემოსავალი		70,369	65,530
საპროცენტო ხარჯები		(8,748)	(17,614)
მოგება დაბეგვრამდე		304,402	492,902
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი/მოგება		304,402	492,902

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

შპს „გეოფუდი“


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-20	01-იან-20
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	242,388	358,747
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	444,603	418,371
გადახდილი ავანსები		-	24,084
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	914,425	749,503
წინასწარ გადახდილი გადასახადები		90,814	63,281
სულ მიმდინარე აქტივები		1,692,229	1,613,986
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	7,180	7,366
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,180	7,366
სულ აქტივები		1,699,409	1,621,352
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	449,747	381,247
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	235,643	319,962
სულ მიმდინარე ვალდებულებები		685,390	701,209
სულ ვალდებულებები		685,390	701,209
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		1,012,019	918,143
სულ საკუთარი კაპიტალი		1,014,019	920,143
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1,699,409	1,621,352

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



შპს „გეოფუდი“


სრული შემოსავლების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარებში

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები	9	3,479,488	4,118,771
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(2,944,679)	(3,420,665)
საერთო მოგება		534,809	698,106
ადმინისტრაციული ხარჯი	11	(253,260)	(247,771)
საოპერაციო ხარჯები		-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(38,768)	(5,349)
სხვა შემოსავალი		70,369	65,530
საპროცენტო ხარჯები		(8,748)	(17,614)
მოგება დაბეგრამდე		304,402	492,902
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი/მოგება		304,402	492,902

ხელმომწერი პირი:

დირექტორი



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გეოფუდი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 223366541), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 3 ოქტომბრიდან საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქ. ახალქალაქი, მალხასიანის ქ., N10.

კომპანიის მესაკუთრეები არიან - 50% სამველ გოგორიანი და 50% სამველ მანუკიანი.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავ კომპანიის დირექტორი - სამველ გოგორიანი.

შპს „გეოფუდი“-ს საქმიანობას წარმოადგენს სასმელით და კვების პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-20	31-დეკ-19
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2019 და 2020 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	14-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება/გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „გოფუდი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	135,066	147,138
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	107,173	211,515
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	148	94
სულ ფულადი სახსრები	242,388	358,747

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	444,603	418,371
უიმედო ვალების რეზერვი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	444,603	418,371

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მზა პროდუქცია	816,134	655,739
სხვა მარაგები	4,891	3,181
ნედლეული	93,400	90,582
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	914,425	749,503

6. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	46,871	19,003	65,874
შეძენა	-	-	-
31 დეკემბერი 2020	46,871	19,003	65,874
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2019	41,545	16,962	58,508
ცვეთა	-	186	186
31 დეკემბერი 2020	41,545	17,149	58,694
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	5,326	2,041	7,366
31 დეკემბერი 2020	5,326	1,854	7,180

შპს „გოუფუდი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2020 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულება	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	448,097	381,091
ხელფასი	1,650	156
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულება	449,747	381,247

8. სესხები

მიმდინარე სასესხო ვალდებულება	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
პროცენტი	238	238
ძირი თანხა	235,405	319,724
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულება	235,643	319,962

9. ამონაგები

ამონაგები	2020
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,479,488
ამონაგები	3,479,488

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2020
მზა პროდუქციის თვითღირებულება	3,686
სატრანსპორტო ხარჯი	2,937,676
აქციზური მარკების ღირებულება	3,317
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2,944,679

11. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2020
ხელფასის ხარჯი	146,551
ცვეთის ხარჯი	186
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	8,662
იჯარის ხარჯი	32,733
სხვა ხარჯი	65,128
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	253,260

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის მანძილზე დაიწყო კოვიდ-19 პანდემია, რამაც გამოიწვია სხვადასხვა ბიზნეს რეგულაციების დაწესების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა ვინაიდან კომპანია წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობას სასმელი და საკვები პროდუქტებით, შეზღუდვებს რაიმე მატერიალური გავლენა არ ჰქონია ბიზნეს საქმიანობაზე. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 7 ოქტომბერს.